

THE FAIRNESS OF CRIMINALIZING PRISON BREAKS

Ioseb Edisherashvili

PhD Student of the Faculty of Law at Sulkan-saba Orbeliani University, Georgia, Tbilisi

Email: iosebisherashvili@gmail.com

ABSTRACT

This study explores the validity of criminalizing prison escape through the perspectives of law and philosophy. Using a comparative legal method, the article reviews various approaches to this topic, then analyzes the regulation of prison escape under Georgian legislation and assesses the justification for its criminalization.

Broadly, there are two primary approaches to prison escape: decriminalization, as seen in Germany, and criminalization. When opting for criminalization, it is crucial to consider the harm caused by the act, the interests protected by criminalizing it, and the necessity of imposing punishment. The debate around criminalizing prison escape involves balancing the human desire for freedom with society's need for protection. The rationale includes safeguarding the efficiency of law enforcement and judicial bodies, as escape necessitates the mobilization of resources, poses a risk of recidivism, and undermines public confidence in law enforcement capabilities.

However, this study argues that the existing legal norm fails to adequately protect these interests. The potential harms associated with prison escape are already covered under other criminal provisions, and punishing the act infringes on the fundamental human desire for freedom. Thus, in a liberal democracy, the decriminalization approach prevalent in Germany appears more balanced and philosophically defensible compared to the traditional criminalization model.

KEYWORDS: Criminal law, Philosophy, Freedom

შესავალი

ციხიდან გაქცევა არის პატიმრის მიერ ციხის დატოვების ქმედება არაოფიციალური ან უკანონო გზებით. როგორც წესი, როდესაც ეს ხდება ხელისუფლების მხრიდან, იწყება საგამოძიებო მოქმედებები, რათა დაუბრუნონ პატიმრები თავდაპირველ დაკავების დაწესებულებებს. ციხიდან გაქცევა ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, შვეიცარიაში შტატებსა და კანადაში და, დიდი ალბათობით, ეს გამოიწვევს პატიმრის სასჯელზე დროის დამატებას, ისევე, როგორც პატიმრის მოთავსებას გაძლიერებული უსაფრთხოების ქვეშ. თუმცა საინტერესოა, რომ გერმანიასა და რიგ სხვა ქვეყნებში ადამიანის ბუნებად მიჩნეულია ციხიდან გაქცევის სურვილი და ეს განიხილება როგორც თავისუფლების უფლების დარღვევა, ამიტომ გაქცევა თავისთავად არ ისჯება (სხვა ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, მაგ., როგორც ძალადობის მუქარა, ფაქტობრივი ძალადობა ან ქონების დაზიანება).

ციხიდან გაქცევის კრიმინალიზება იშვიათად განხილული საკითხია, თუმცა, ის ეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლებზეც დგას თანამედროვე ლიბერალური საზოგადოება. ნაშრომში მიმოვიხილავთ ქვეყნებში მიდგომებს ციხიდან გაქცევის კრიმინალიზებასთან დაკავშირებით, შევადარებთ ურთიერთდაპირისპირებულ ღირებულებებს და პასუხს გავცემთ, რომელი მიდგომაა მართებული დემოკრატიულ საზოგადოებაში.

1. საპატიმროდან გაქცევის კრიმინალიზების მიდგომები მსოფლიოში

საპატიმროდან გაქცევასთან დაკავშირებით კრიმინალიზაციის ძირითადად ორი მიდგომა არსებობს: მისი სისხლის სამართლის დასჯადობა ან მისი დეკრიმინალიზაცია. გერმანიაში ციხიდან გაქცევა არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ციხიდან გაქცევის მიმართ გერმანული დამოკიდებულება ასახავს ამ მოსაზრებას, რომ კანონმა თავი უნდა შეიკავოს შეუძლებელი ვალდებულებების დაწესებისგან. გერმანიის კანონმდებლობით, გაქცევა არ ისჯება. თუმცა, პატიმარი, რომელიც აზიანებს ქონებას ან კლავს, ან თავს ესხმის ვინმეს გაქცევისას, პასუხისმგებელია ამ დანაშაულისთვის.¹ მსგავსი სამართლებრივი რეგულაცია არსებობს ავსტრიაში, სადაც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ციხიდან გაქცევაზე და მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წესდება.² მსგავსად ბელგიაში, ციხიდან გაქცევა კანონით არ ისჯება, მაგრამ გაქცეული პატიმრები ისჯებიან, თუ ისინი დანაშაულებრივ დანაშაულს ჩაიდენენ გაქცევის მცდელობისას.³ აღსანიშნავია, რომ მსგავსად მექსიკის სამართლის სისტემაში ციხიდან გაქცევა არ არის კრიმინალიზებული. მექსიკის საკანონმდებლო ორგანო და სამართლო სისტემა მიჰყვებიან რწმენას, რომ ციხიდან გაქცევის ქმედება არ უნდა იყოს უკანონო, თუ ისინი სხვა დანაშაულს არ ჩაიდენენ ამ პროცესში. მექსიკის უზენაესი სასამართლოს ყოფილ მინისტრს,

- 1 შეადარე. Gold, J. Z., 1979. Prison Escape and Defenses Based on Conditions: A Theory of Social Preference. California Law Review, 67 (5), გვ. 1184.
- 2 შეადარე. Correctional Services in Austria. 2016. Republic of Austria Federal Ministry of Justice. გვ. 18.
- 3 შეადარე. Boyle, R., 2015. No prison escapes so far this year in Belgium, The platform for Belgium's international community, The bulletin. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.thebulletin.be/no-prison-escapes-so-far-year-belgium>> [წვდომის თარიღი 01.11.24].

ოუვენტინო ვიქტორ კასტრო ი კასტროს, სშირად ციტირებენ მისი გამჭრიახი შეჯამებით იმის შესახებ, თუ რატომ არ სჯის ქვეყანა ციხიდან გაქცევის ფაქტობრივ აქტს. ადამიანი, რომელიც გაქცევას ცდილობს, ეძებს თავისუფლებას და ამას კანონი ღრმად პატივს სცემს... თავისუფლების ძირითადი სურვილი ყოველი ადამიანის შიგნით არის, ამიტომ გაქცევის მცდელობა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად.⁴ თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მექსიკამ დააკანონა ციხიდან გაქცევა. სინამდვილეში კი, პირიქით, თუ თქვენ დააზიანებთ ქონებას, მოისყიდით მცველებს ან ჩაიდენთ სხვა დანაშაულს, მაშინ კვლავ შეიძლება ბრალის წაყენება სხვა დანაშაულებისთვის.

ციხიდან გაქცევა – მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, კრიმინალიზებულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით, 313-ე მუხლი კრძალავს გაქცევას პენიტენციური დაწესებულებიდან და ითვალისწინებს 4 წლამდე სანქციას.⁵ სპეციფიკურია ასევე აშშ-ის მიდგომა ციხიდან გაქცევაზე. აშშ-ში ფედერალური პატიმრობიდან გაქცევა, როგორც ეს განსაზღვრულია 18 U.S.C. § 751(a)-ში, არის განგრძობითი დანაშაული და გაქცეული შეიძლება პასუხისმგებელი იყოს პატიმრობაში დაბრუნების მუხსრულებლობისთვის, ისევე, როგორც მისი თავდაპირველი გაქცევისთვის.⁶ თუმცა ყოველი გაქცევა არ არის აპრიორი

დანაშაული. პროცესის დროს, პატიმრები უფრო წარმატებულად იცავენ თავიანთ გაქცევას ანგლო ამერიკული კანონის დაცვის საშუალებებით, როგორებიცაა: იძულება და აუცილებლობა, ვიდრე კანონისმიერი არგუმენტებით, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ უსაფრთხოებას ემუქრებათ საფრთხე.⁷ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შტატში, მაგალითად, ვირჯინიაში, გაქცევა არ იწვევს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, ისეთ შემთხვევაში, თუ ეს არ მოხდა ძალადობით ან თუკი სხვა დანაშაული არ ჩადენილა ქმედების დროს.⁸

სახელმწიფოთა მიდგომა შესაბამისად იყოფა ციხიდან გაქცევის კრიმინალიზების და დეკრიმინალიზების პრაქტიკით. იმისათვის, რომ დავადგინოთ, რომელი მიდგომაა მართებული, აუცილებელია, თვითონ დასჯადი/არადასჯადი ქმედების კრიმინალიზების შეფასება.

2. პენიტენციურიდან გაქცევის კრიმინალიზების მართებულობა

კონტინენტურ და ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემებს, იშვიათად გამოუჩენიათ დიდი ინიციატივა და დიდი ინტერესი პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევის კრიმინალიზაციის საფუძვლების ან უბრალოდ სახელმწი-

4 შეადარე. Funk T.M. and Coie P., 2023. Prison Reform Must Not Include Decriminalizing Nonviolent Prison Escapes (from The Hill). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf](https://www.thehill.com/policy/criminal-justice/2023/05/05-el-business-interruption-covid.pdf)> [წვდომის თარიღი 01.11.24].

5 იხილეთ. Уголовный кодекс Российской Федерации. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/> [წვდომის თარიღი 01.11.24].

6 United States v. Bailey, 444 U.S. 394 (1980), United States v. Hobson, 519 F.2d 765 (9th Cir. 1975), United States v. Johnson, 446 F.3d 1326 (11th Cir. 2006).

7 შეადარე. Michaels, W.H., 1978. Have the Prison Doors Been Opened – Duress and Necessity as Defenses to Prison Escape. Chicago-Kent Law Review, 54 (3). გვ. 917.

8 Article 18.2-477, Code of Virginia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://law.lis.virginia.gov/vacodefull/title1/>> [წვდომის თარიღი 01.11.24].

ფოს მხრიდან ნებისმიერი სხვა ტიპის აკრძალვის დაწესების გამამართლებელი მიზეზების შესწავლის მიმართ.⁹ იმისათვის, რომ შევაფასოთ, ზემოთ ხსენებული მიდგომებიდან რომელია მართებული, აუცილებელია, შევაფასოთ თავად რამდენად გამართლებულია ციხიდან გაქცევის დასჯადობა. ადამიანის ქმედების კრიმინალიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების გამოვლინებას, რომელიც, ერთი მხრივ, ჩვენს ღირებულებებს ქმნის და რომელიც ყოფს მოსახლეობას დამნაშავეებად და არა დამნაშავეებად.¹⁰ ადამიანებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად სახელმწიფოს ჩარევა და შესაბამისად ქმედების კრიმინალიზება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ: ა) ქმედება იწვევს ზიანს ან ქმნის ზიანის საფრთხეს და ბ) ზიანი მიმართულია სხვებისკენ.¹¹ რაც უფრო დიდია ზიანის სიმძიმე და მისი დადგომის ალბათობა, მით უფრო გამართლებულია ქმედების კრიმინალიზაცია; და, პირიქით, რაც უფრო ღირებული და მნიშვნელოვანია ქმედება ან, რაც უფრო შეზღუდავს კრიმინალიზაცია ადამიანის თავისუფლებას, მით უფრო გაუმართლებელია ქმედების აკრძალვა.¹²

კვლევები, რომლებიც შეისწავლიან ციხიდან გაქცევასა და მისგან გამოწვეულ შედეგებს, გვაძლევენ საშუალებას, დავასკვნათ, რომ კონკრეტულად პენიტენციურიდან გაქცევის ქმედებას პირდაპირი ზიანი

არ მოაქვს. ზიანის გამომწვევია ის ქმედებები, რომელთა ჩადენაც არის საჭირო, იმისათვის, რომ ადამიანი ციხიდან გაიქცეს, ეს ქმედებები შეიძლება იყოს ძალადობა, მკვლელობა, მუქარა, ქონების დაზიანება, მძევლების აყვანა ან სხვა სისხლის სამართლით კრიმინალიზებული ქმედება.

უფრო გამართლებული არგუმენტი კრიმინალიზაციაზე არის ის, რომ ქმედებიდან წამოჭრილი ზიანი არ არის პირდაპირი, არამედ არის დაშორებული ზიანი. ასეთს განეკუთვნება ქმედება, რომელსაც ზიანი შეიძლება მოჰყვეს არა მყისიერად, არამედ გარკვეული დროის შემდეგ.¹³ დაშორებული ზიანის დადგენის დროს მნიშვნელოვანია შევაფასოთ შემდეგი კრიტერიუმები: 1) თუ რა საბოლოო ზიანს იწვევს ქმედება და მისი დადგომის ალბათობა, რაც უფრო დიდია ქმედების სიმძიმე და მისი დადგომის ალბათობა, მით უფრო აუცილებელია ქმედების კრიმინალიზაცია; 2) გასათვალისწინებელია ქმედების სოციალური ღირებულება და ის, თუ რა ღირებით შეზღუდავს მისი აკრძალვა ქმედების ჩამდენს. რაც უფრო ღირებულია ქმედება ან, რაც უფრო მეტად ზღუდავს აკრძალვა თავისუფლებას, მით უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო ქმედების კრიმინალიზაციისას; 3) გასათვალისწინებელია ის გვერდითი მოვლენები, რომლებიც შეიძლება კრიმინალიზაციას ახლდეს. აკრძალვამ გაუმართლებლად არ უნდა შელახოს, მაგალითად, საკუთრების უფლება ან გამოხატვის თავისუფლება.¹⁴

9 შეადარე. Persak, N., 2007. *Criminalising Harmful Conduct: The Harm Principle, its Limits and Continental Counterparts*, Springer, გვ. 23.

10 იხილეთ. Schonsheck, J., 1994. *On Criminalization: An Essay in the Philosophy of Criminal Law*. Kluwer Academics Publishers, 1.

11 შეადარე. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 85.

12 იქვე. გვ. 115.

13 შეადარე. Simester, A. P. and Von Hirsh, A., 2011. *Crimes, Harms and Wrongs: On the Principle of Criminalisation*. Hart Publishing, გვ. 47.

14 შეადარე. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 136.

პირველი კრიტერიუმის შეფასება მსგავსია პირდაპირი ზიანის შეფასების. ციხიდან გაქცევის შემდეგ დამდგარი ზიანი ძალიან შორეულ კავშირშია ქმედებასთან და გამოწვეულია სხვა დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენით. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობით ადამიანისთვის ზიანის მიყენება, რაც უმთავრესი დაცვის ობიექტია, ციხიდან გაქცევის შემდეგ იშვიათობაა. კვლევა, რომელიც ჩატარდა აშშ-ში, წარმოაჩენს, რომ ძალადობა იშვიათია, ხშირად გამოწვეულია გარკვეული სიტუაციური ფაქტორებით, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტულ გარემოებებში. გარდა ამისა, როდესაც ძალადობა ხდება, ის ხშირად შედარებით უმნიშვნელოა (მაგ., პატიმარმა ოფიცერს ხელი კრა). როდესაც გაქცეულები ჩადიან უფრო მძიმე ძალადობრივ ქმედებებს, მათ ხშირად ბრალს დებენ ცალკე ძალადობრივი დანაშაულისთვის.¹⁵

განსხვავებული მიდგომები, ციხიდან გაქცევის კრიმინალიზებაზე, დაფუძნებულია დაშორებული ზიანის შეფასების მეორე და მესამე კრიტერიუმებზე, როდესაც ურთიერთსაპირისპიროდ არის დაყენებული ღირებულებები და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დასაცავი ინტერესები. ერთი მხრივ, ეს ადამიანის სწრაფვა, იყოს თავისუფალი (არა მატერიალური, არამედ ონტოლოგიური გაგებით) და სახელმწიფოს მიერ დასაცავი ინტერესები. იმისათვის, რომ შევაფასოთ კრიმინალიზების მიდგომების მართებულობა და ეფექტურად შევადაროთ სახელმწიფოთა მიდგომა, შემდეგ ორ თავში სწორედ ეს ორი ღირებულება იქნება შედარებული.

3. თავისუფლებისკენ სწრაფვა, როგორც ადამიანის ბუნებრივი ონტოლოგიური მდგომარეობა

თავისუფლებისკენ სწრაფვა ადამიანის ბუნების ფუნდამენტური ასპექტია. ეს არის ჩვენი თანდაყოლილი სურვილი, გავთავისუფლდეთ შეზღუდვებისგან და ვიცხოვროთ ისე, როგორც გვსურს. ეს სურვილი აშკარაა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში, ჩვენი პირადი ურთიერთობებიდან ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებამდე.

დასავლური ფილოსოფიის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ადამიანის თავისუფლების შეცნობა და მოპოვებაა. პირველი ციხიდან გაქცევის ფილოსოფიური შეფასება შეგვიძლია ვნახოთ პლატონის აპოლოგიაში, სადაც განხილულია სოკრატეს სასამართლო პროცესი.¹⁶ სოკრატეს ციხეში დარჩენის მიზეზად მოჰყავს ძველი ლოგოსი და პრინციპები, რომლებიც ადასტურებენ სამართლიანობის ღირებულებას, სულის უფრო დიდ მნიშვნელობას სხეულთან შედარებით და, შესაბამისად, სიკვდილის ნაკლებ ბოროტებას უსამართლობასთან შედარებით. სოკრატეს არ გაქცევის მიზეზები აშკარაა. იმის გამო, რომ გაქცევა ეწინააღმდეგება ათენელთა ნებას, მოითხოვს ქურდობას და მოსყიდვას, სამარცხვინო პრაქტიკას, რომელიც გაუმართლებელია დღევანდელ ვითარებაში, გაქცევით სოკრატე საკუთარ თავს და მის მეგობრებს დააზარალებს იმდენად, რამდენადაც ისინი იძულებულნი იქნებიან ჩაერთონ მანკიერ პრაქტიკაში, რომლის უსამართლო-

15 შეადარე. Peterson, B.E., 2015, Doctoral Dissertation: Inmate-, Incident-, And F Inmate-, Incident-, And Facility-Level Factors Associated With Escapes From Custody And Violent Outcomes, City University of New York: (CUNY), გვ. 168.

16 იხილეთ: West, T.G., 1979. Plato's "Apology of Socrates" : an interpretation, with a new translation. Ithaca: N.Y. Cornell University Press.

ბაც ზიანს აყენებს მათ სულებს. უფრო მეტიც, გაქვევა დაარღვევს სოკრატეს სამართლიან შეთანხმებას ქალაქ ათენთან, რომ დაემორჩილოს თავის სასჯელს.¹⁷

თუმცა ასეთი პოზიცია იშვიათია. პირიქით, თანამედროვე ფილოსოფია მუდმივად იმას ქადაგებს, რომ თავისუფლება ეს არის ადამიანის ფუნდამენტური ბუნებითი უფლება. ლოკი თვლიდა, რომ ადამიანები იბადებიან ბუნებითი უფლებებით, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებით. ის ამტკიცებდა, რომ ეს უფლებები ფუნდამენტური და განუყოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წართმევა შეუძლებელია.¹⁸ იმანუელ კანტი თვლიდა, რომ თავისუფლება არის ადამიანის ბუნების არსი. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ, ავირჩიოთ საკუთარი მორალური პრინციპები და, რომ მორალურად ვართ პასუხისმგებელი ჩვენს ქმედებებზე.¹⁹ ჯონ სტუარტ მილი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება აუცილებელია ადამიანის კეთილდღეობისთვის. მას სჯეროდა, რომ ინდივიდებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, განახორციელონ საკუთარი ინტერესები და იცხოვრონ ისე, როგორც მათ მიაჩნიათ სწორად, რამდენადაც ისინი ზიანს არ მიაყენებენ სხვებს. მილის უტილიტარიზმის თეორია ემყარება იმ აზრს, რომ ყველაზე დიდი სიკეთე ადამიანების უდიდესი ნაწილისთვის თავისუფლების მიღწევაა, კერძოდ, როდესაც ინდივიდები თავისუფალნი არიან, გააკეთონ საკუთარი არჩევანი.²⁰ ებ-

ზისტენცილისტებისთვის ადამიანები არიან იმგვარი არსებები, რომლებსაც შეუძლიათ არჩევანის გაკეთება და, შესაბამისად, შეუძლიათ არჩევანის არ გაკეთება. პარადოქსულად, არჩევანის არ გაკეთებაც არჩევანია. შესაბამისად, ადამიანებისთვის თავისუფლება არის მათი ბუნების განუყოფელი ნაწილი.²¹ თავისუფლების გაგების მსგავსი იდეა საფუძვლად უდევს დასავლურ ფილოსოფიასა და ცივილიზაციას.

კრიმინალიზება იმისი, რაც ასეთი ფუნდამენტურია ადამიანისთვის, არის იმორალური. მსგავსად თავისუფლებისკენ სწრაფვისა, ადამიანის თვითგადარჩენაც არის ფუნდამენტური ადამიანის ბუნებისთვის, ამ მიზეზით აუცილებელი მოგერიება არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. როგორც ტომას ჰობსმა შეაფასა: „არცერთი კანონი არ ავალდებულებს ადამიანს, უარი თქვას საკუთარი თავის გადარჩენაზე და, თუ ვივარაუდებთ, რომ ასეთი კანონი არსებობს და ის სავალდებულო არის, ის ადამიანს აფიქრებინებს, რომ, თუ მე ამას არ ვაკეთებ (კანონს არ დავემორჩილები), ახლავ ვკვდები, გავაკეთებ ამას, ვკვდები შემდეგ, ამიტომ, თუ კანონით აკრძალულ ქმედებას ვაკეთებ, ვიგებ დროს, შესაბამისად, ბუნება აიძულებს მას ქმედებისკენ“.²² თავისუფლების ასეთი ფილოსოფიური გაგება არის საფუძველი გერმანიასა და სხვა ქვეყნებში გავრცელებული ციხიდან გაქცევის დეკრიმინალიზაციის საფუძველი.

17 იხილეთ: Weiss, R., 1998. Socrates Dissatisfied: An Analysis of Plato's Crito. Oxford University Press.

18 იხილეთ. Locke, J., 1999. Two Treaties of Government. Cambridge University Press.

19 იხილეთ. Ware, O., 2023. Kant on Freedom. Cambridge University Press.

20 შეადარე. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker, გვ. 14.

21 იხილეთ. Sartre, J-P., 1957. Being and Nothingness. translated by Hazel Barnes London: Methuen.

22 იხილეთ. Hobbes, T. 2008. Leviathan. Edited by J. C. A. Gaskin. London: Oxford University Press. Chapter VI.

4. საპატიმროდან გაქცევის კრიმინალიზების დაცვის ობიექტები

მიდგომა, რომელიც სისხლის სამართლით დასჯადს ხდის ციხიდან გაქცევას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიკეთეების დაცვას. საქართველოს კანონმდებლობით – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით – კრიმინალიზებულია ციხიდან გაქცევა. სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლის მიხედვით, დავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გაქცევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით – ვადით სამიდან ექვს წლამდე.²³ გაქცევის სამართლებრივი დეფინიცია მოცემულია პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც გაქცევა ეს არის: ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დამცავი ზღუდის გადაკვეთა; ბ) ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიერ მისი გაყვანისას/ გადაყვანისას მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი დაცვის ხაზის გადაკვეთა.²⁴ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის მიხედვით, ნორმის უშუალო დაცვის ობიექტი და სიკეთეები არის პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება. ნორმა იცავს საზოგადოებას დანაშაულისგან, საგამოძიებო ორგანოთა, სასამართლო-

სა და პენიტენციურების ნორმალურ საქმიანობას, რადგან გაქცევით ხდება მათი ძალების მობილიზაცია ძებნისთვის, ის ასევე ქმნის რეციდივის საშიშროებას და ეჭვს აჩენს საზოგადოებაში სამართალდამცავი ორგანოების უნარიანობაში.²⁵ სანამ შევადარებთ ღირებულებებსა და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ინტერესებს, მნიშვნელოვანია შევაფასოთ თავად ნორმა, იცავს თუ არა დაცვის ობიექტებს.

არგუმენტი, რომ ნორმა იცავს პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, არის სუსტი და გაუმართლებელი. საპატიმრო ნორმალურად ფუნქციონირებს, თუკი ის უზრუნველყოფს ინდივიდთა საზოგადოებისგან იზოლირებას.²⁶ თუკი ინდივიდი თავს აღწევს იზოლაციას, ეს არ ნიშნავს, რომ ის არღვევს ნორმალურ ფუნქციონირებას, არამედ ნორმალური ფუნქციონირების არარსებობის გამო, მას უჩნდება შესაძლებლობა, დატოვოს დაწესებულება. ეს არის სიმპტომი პრობლემის და არა მისი კაუზალური საწყისი. მსგავსი არგუმენტი ვრცელდება საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე. არგუმენტი, რომ ქცევა ქმნის რეციდივის საშიშროებას, ასევე სუსტია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატისტიკურად დანაშაულის ჩადენა ციხიდან გაქცევის დროს ან შემდგომ დაბალია, ასევე სისხლის სამართალი ქმედების პრევენციის საკითხში იშვიათად თუ არის წარმატებული და აქედან გამომდინარე, იმ ადამიანების დასჯა, რომელთა ქცევის პრევენცია არ ხერხდება,

23 მუხლი 379, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=264>> [წვდომის თარიღი 01.11.24].

24 ნაწილი 3, მუხლი 52², საქართველოს პენიტენციური კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=1#DOCUMENT:1>> [წვდომის თარიღი 01.11.24].

25 შეადარე. ლეკვეიშვილი, მ, თოდუა, ნ. და მამულაშვილი, გ., 2017. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 2. თბილისი: მეხუთე გამოცემა. გვ. 537.

26 იხილეთ. Galtung, J., 1958. The Social Functions of a Prison. Oxford University Press Social Problems, 6 (2).

განსაკუთრებულ დასაბუთებას საჭიროებს.²⁷ პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევა არ იწვევს წინა დანაშაულების სანქციის გაუქმებას, როდესაც ადამიანი უბრუნდება დაწესებულებას, ის ჩვეულებრივ აგრძელებს იმ სასჯელის მოხდას, რომელიც მისჯილი ჰქონდა. რაც შეეხება საზოგადოებაში საგამოძიებო და პენიტენციური დაწესებულებების მიმართ უნარობის ეჭვის გაჩენა თანამედროვე ინფორმაციულ ეპოქაში ციხიდან გაქცევის კრიმინალიზებით მიუღწევადია, რადგანაც, როდესაც ციხიდან გაქცევის შემთხვევა მოხდება, მიუხედავად, რამდენად სწრაფად მოხდება ამ ქმედების აღკვეთა, საზოგადოებაში უკვე არის გაჩენილი ეჭვი ორგანოების უნარობის.

წინამდებარე ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ სამართლებრივ სიკეთეებს ნორმა ვერ იცავს, ამასთან ერთად, რომ იცავდეს, მის საპირწონედ დგას ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც არის ამომავალი ლიბერალური საზოგადოების. მონტესკიე როდესაც საუბრობს ქმედების სიმძიმესა და სასჯელს შორის პროპორციულობაზე, ასკვნის, რომ სასჯელი რეალურად მხოლოდ ისეთი ქმედებისთვის უნდა დაინიშნოს, რომელიც ადამიანებისთვის რეალურ ზიანს იწვევს.²⁸ ჯონ სტუარდ მილის აზრით, „ერთადერთი მიზანი, რომელიც გაამართლებდა ძალის გამოყენებას ცივილიზებული საზოგადოების რომელიმე წევრზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, არის სხვებისთვის ზიანის მიყენების აღკვეთა“.²⁹ ციხიდან გაქცევა არ იწვევს იმგვარ ზიანს, რომელიც გაამართლებს მის კრიმინალიზაციას. ასევე ცალკეული ქმედების კრიმინალიზაცია

ნიშნავს ამ ქმედების კანონსაწინააღმდეგოდ გამოცხადებას, მისი ჩაღუნისთვის სანქციის დაწესებას და აკრძალული ქმედების ჩამღუნის გაკიცხვას.³⁰ ციხიდან გაქცევის კრიმინალიზაციით, ნიშნავს, რომ ისეთ ქმედებას ვაცხადებთ კანონსაწინააღმდეგოდ და ვკიცხავთ ადამიანს, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური ნაწილია, თავისუფლებისკენ სწრაფვა.

აქედან გამომდინარე, ლიბერალური დემოკრატიისთვის აშკარაა, რომ დეკრიმინალიზების მიდგომა, რომელიც გავრცელებულია გერმანიაში, გაცილებით დაბალანსებულია და ფილოსოფიურად გამართლებულია, ვიდრე კრიმინალიზების მიდგომა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კრიმინალიზების მიდგომები და მათი ფილოსოფიური და სამართლებრივი გამართლებები. ანალიზისა და მიდგომების შედარების შემდგომ აშკარად ჩანს, რომ ციხიდან გაქცევის დეკრიმინალიზაციის მოდელი გაცილებით მართებულია ლიბერალურ სახელმწიფოში, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ის სახელმწიფოს მიერ დაღვნილი ინტერესების დაცვა, რომელსაც ემსახურება კრიმინალიზაცია, ვერ ხერხდება, და, მეორე მხრივ, საპირწონედ არსებული თავისუფლების სწრაფვის ღირებულება არის ადამიანისთვის ისეთივე ფუნდამენტური, როგორც თვითგადარჩენის ინსტიქტი.

იურიდიული გამონაკლისი და კრიმინალიზაციაზე უარი, რომელსაც გერ-

27 შეადარე. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 77.

28 შეადარე. Montesquieu, J.-J., 1748. The Spirit of the Laws. Books XII. გვ. 189.

29 შეადარე. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker, გვ. 14.

30 შეადარე. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 136.

მანიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობა აწესებს, შეიძლება იყოს მაგალითი ჩვენთვის, უფრო კრიტიკულად ვიფიქროთ ჩვენი კანონების მიმართ და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ისინი არ იყოს ისეთი ეფექტური, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, განსაკუთრებით მაშინ, რო-

დესაც საქმე ეხება პატიმრების დასანქცირებას გაქცევის მცდელობისთვის. ჩვენ უნდა ვცადოთ, რომ ჩვენი სამართლებრივი სისტემები იყოს სამართლიანი და დაბალანსებული, რათა არავინ არ იყოს არაპროპორციულად მოპყრობილი ან დასჯილი რაიმე ქმედებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლეკვეიშვილი, მ, თოდუა, ნ. და მამულაშვილი, გ., 2017. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 2, მეხუთე გამოცემა. თბილისი.
3. Boyle, R., 2015. No prison escapes so far this year in Belgium. The bulletin. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.thebulletin.be/no-prison-escapes-so-far-year-belgium>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
4. Carlson, K. A., 1990. Prison escapes and community consequences: Results of a casestudy. Federal Probation, 54 (2).
5. Correctional Services in Austria" Republic of Austria Federal Ministry of Justice, 2016.
6. Culp, R. F., 2005. Frequency and characteristics of prison escapes in the United States: An analysis of national data. The Prison Journal, 85 (3).
7. Donald, N. A., 2021. Product of Evolution: Selfish Impulse, Instinct, Self-Preservation, or Human Nature.
8. Funk, T. M. and Coie, P., 2023. Prison Reform Must Not Include Decriminalizing Nonviolent Prison Escapes (from The Hill). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf](https://www.jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf)> [წვდომის თარიღი 01.11.24].
9. Galtung, J., 1958. The Social Functions of a Prison, Oxford University Press Social Problems, 6 (2).
10. Gold, J. Z., 1979. Prison Escape and Defenses Based on Conditions: A Theory of Social Preference. California Law Review, 67 (5).
11. Hobbes, T., 2008. Leviathan. Edited by J. C. A. Gaskin. London: Oxford University Press.
12. Locke, J., 1999. Two Treaties of Government. Cambridge University Press.
13. Lott, T., 1982. The Psychology of Self-Preservation in Hobbes. La référence Hobbienne du XVIIe siècle à nos jours 20 (61).
14. Michael, W.H., 1978. Have the Prison Doors Been Opened – Duress and Necessity as Defenses to Prison Escape. Chicago-Kent Law Review, 54 (3).
15. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker.
16. Montesquieu, J. J., 1748. The Spirit of the Laws.
17. Persak, N., 2007. Criminalising Harmful Conduct: The Harm Principle, its Limits and Continental Counterparts, Springer.
18. Peterson, B.E., 2015. Doctoral Dissertation: Inmate-, Incident-, And Facility-Level Factors Associated With Escapes From Custody And Violent Outcomes, City University of New York (CUNY).
19. Sartre, J. P., 1957. Being and Nothingness. translated by Hazel Barnes. London: Methuen.
20. Simester, A. P. and Von Hirsh, A., 2011. Crimes, Harms and Wrongs: On the Principle of Criminalisation. Hart Publishing.
21. Ware, O., 2023. Kant on Freedom. Cambridge University Press.
22. Weiss, R., 1998. Socrates Dissatisfied: An Analysis of Plato's Crito. Oxford University Press.

23. West, T.G., 1979. Plato's "Apology of Socrates". Cornell University Press.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
2. საქართველოს პენიტენციური კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=1>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
3. Code of Virginia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://law.lis.virginia.gov/vacodefull/title1/>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
4. Уголовный кодекс Российской Федерации. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/> [წვდომის თარიღი 01.11.24].

სასამართლო პრაქტიკა:

1. United States v. Johnson, 446 F.3d 1326 (11th Cir. 2006).
2. United States v. Bailey, 444 U.S. 394 (1980).
3. United States v. Hobson, 519 F.2d 765 (9th Cir. 1975).

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Bakhtadze, U., 2019. Doctoral dissertation: Criminological analysis of the criminalization process. Tbilisi State University. (in Georgian)
2. Boyle R., 2015. No prison escapes so far this year in Belgium, the platform for Belgium's international community, the bulletin. [Online] available at: <<https://www.thebulletin.be/no-prison-escapes-so-far-year-belgium>> [Accessed 01.11.24]. (in English)
3. Carlson, K. A., 1990. Prison escapes and community consequences: Results of a case-study. Federal Probation, 54 (2). (in English)
4. Correctional Services in Austria, 2016.Re-

- public of Austria Federal Ministry of Justice. (in English)
5. Culp, R. F., 2005. Frequency and characteristics of prison escapes in the United States: An analysis of national data. The Prison Journal, 85 (3). (in English)
 6. Donald, N, A., 2021. Product of Evolution: Selfish Impulse, Instinct, Self-Preservation, or Human Nature. (in English)
 7. Funk, T. M. and Coie, P., 2023. Prison Reform Must Not Include Decriminalizing Nonviolent Prison Escapes (from The Hill). [Online] available at: <[jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf](https://www.jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf)> [Accessed 01.11.24]. (in English)
 8. Galtung, J., 1958. The Social Functions of a Prison, Oxford University Press. Social Problems, 6(2). (in English)
 9. Gold, J. Z., 1979. Prison Escape and Defenses Based on Conditions: A Theory of Social Preference. California Law Review, 67(5). (in English)
 10. Hobbes, T. 2008. Leviathan. Edited by J. C. A. Gaskin. London: Oxford University Press. (in English)
 11. Lekveishvili, M., Todua, N. and Mamulashvili, G., 2017. Special part of criminal law. book 2. Tbilisi fifth edition. (in Georgian)
 12. Locke, J., 1999. Two Treatises of Government. Cambridge University Press. (in English)
 13. Lott, T, 1982. The Psychology of Self-Preservation in Hobbes, La référence Hobbienne du XVIIe siècle à nos jours, 20(61). (in English)
 14. Michaels, W.H., 1978. Have the Prison Doors Been Opened – Duress and Necessity as Defenses to Prison Escape. Chicago-Kent Law Review Volume, 54 (3). (in English)
 15. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker. (in English)
 16. Montesquieu, J. J., 1748. The Spirit of the Laws. (in English)
 17. Persak, N., 2007. Criminalising Harmful Conduct: The Harm Principle, its Limits and Continental Counterparts, Springer. (in English)
 18. Peterson, B.E., 2015. Doctoral Dissertation: Inmate-, Incident-, And Facility-Level Factors Associated With Escapes From Custody And Vio-

- lent Outcomes, City University of New York (CUNY). (in English)
19. Sartre, J. P., 1957, Being and Nothingness. translated by Hazel Barnes London: Methuen. (in English)
 20. Simester, A. P. and Von Hirsh, A., 2011. Crimes, Harms and Wrongs: On the Principle of Criminalisation. Hart Publishing. (in English)
 21. Ware, O., 2023. Kant on Freedom. Cambridge University Press. (in English)
 22. Weiss, R., 1998. Socrates Dissatisfied: An Analysis of Plato's Crito. Oxford University Press. (in English)
 23. West, T.G., 1979. Plato's "Apology of Socrates". Cornell University Press. (in English)

Normative Materials:

1. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=269> [Accessed 01.11.24]. (in Georgian)
2. Penitential Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=1> [Accessed 01.11.24]. (in Georgian)
3. Code of Virginia. [Online] available at: <https://law.lis.virginia.gov/vacodefull/title1/> [Accessed 01.11.24]. (in English)
4. Criminal Code of the Russian Federation. [Online] available at: https://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/ [Accessed 01.11.24]. (in Russian)

Judicial Practice:

1. United States v. Johnson, 446 F.3d 1326 (11th Cir. 2006). (in English)
2. United States v. Bailey, 444 U.S. 394 (1980). (in English)
3. United States v. Hobson, 519 F.2d 765 (9th Cir. 1975). (in English)